გერდ ვინტერი

<u>განათლება</u>

- სამართლის დოქტორი, (გიოტინგენის უნივერსიტეტი)
- იურიდიული ფაკულტეტი (სწავლობდა ვიურცბურგში, ფრაიბურგში, ლოზანასა და გეტინგენში)
- მე-2 სახელმწიფო გამოცდა (OLG Stuttgart)
- პირველი სახელმწიფო გამოცდა (OLG Celle)

<u>სამუშაო გამოცდილება</u>

- მოწვეული მეცნიერი, იელის სამართლის სკოლა, ნიუ ჰევენი
- პროფესორი (C 4) ბრემენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე. თავდაპირველად არჩეული იყო კერძო სამართლის, საპროცესო სამართლისა და იურიდიული სოციოლოგიის მიმართულებით, 1981 წლიდან საჯარო სამართლის, საპროცესო სამართლისა და სამართლის სოციოლოგიაში, 2003 წლიდან ადმინისტრაციულ სამართლის, შედარებითი ევროპული და საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალლის მიმართულებით.
- ბრემენის უნივერსიტეტის ევროპული გარემოსდაცვითი სამართლის კვლევითი ცენტრის (FEU) დამფუძნებელი, დირექტორი და კვლევითი პროფესორი.
- 1996 წლიდან დღემდე, ახორციელებს კონსულტაციას საქართველოს კანონმდებლობაზე ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის, დაგეგმვისა და სამშენებლო სამართლის, ასევე გარემოსდაცვითი სამართლის შესახებ, ძირითადად GTZ/GIZ-ის სახელით. უძღვება სემინარებს ადმინისტრაციულ პრაქტიკოსებთან და მოსამართლეებთან ბოლოდროინდელი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესახებ, ასევე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სამმხრივ კონტექსტში.

2000 წლიდან ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN-WCEL) გარემოსდაცვითი სამართლის მსოფლიო კომისიის წევრი, ევროპული გარემოსდაცვითი სამართლის პროფესორთა ქსელის "avosetta group" თანადამფუძნებელი, წევრი და მდივანი.

<u>დამატებითი ინფორმაცია</u>

- იყო ბრემენის უნივერსიტეტის ევროპული სამართლებრივი პოლიტიკის ცენტრის თანადირექტორი, გარემოს დაცვის, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს გარემოსდაცვითი კოდექსის დამოუკიდებელი საექსპერტო კომისიის წევრი; ბრემენის უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის სპიკერი; DFG-ის გლობალური ცვლილების კვლევის ეროვნული კომიტეტის (NKGCF) წევრი; ჯანდაცვის ფედერალური სამინისტროს "რისკის კომისიის" წევრი.

- არის სერიის - "Environmental Law Studies - Studies on Environmental Law" (Nomos Verlag, დღემდე 47 ტომი) დამფუძნებელი და თანარედაქტორი. "GAIA" და "ჟურნალი გარემოსდაცვითი სამართლის" მრჩეველთა საბჭოს წევრი; "avosetta group", გერმანიის იურისტთა ასოციაციის, ევროინტეგრაციის სამუშაო ჯგუფის, გერმანიის კონსტიტუციური სამართლის მასწავლებელთა ასოციაციის და IUCN გარემოსდაცვითი სამართლის მსოფლიო კომისიის წევრი.

- 90-იანი წლებიდან მოყოლებული იყო საერთაშორიო იურიდიული კონსულტანტი ადმინისტრაციულ სამართალსა და გარემოსდაცვით კანონზე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების/საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ/GIZ), ევროკომისიის, აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკისთვის: ბანგუიში, კატმანდუში, ჰარარეში, ირკუტსკში, თბილისი, ალმათი, ვროცლავი, დუშანბე, ბუქარესტი, პოდგორიცა

- სპეციფიური ექსპერტიზა საქართველოში: 1996 წლიდან დღემდე, აქტიურად მონაწილეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ადმინისტრაციული საპროცესო აქტის, დაგეგმვისა და სამშენებლო კოდექსის და ბიომრავალფეროვნების შესახებ აქტის პროექტებში.

- არის დაახლოებით 250 პუბლიკაციის ავტორი/თანაავტორი (იხ. http://www.gerd-winter.jura.uni-bremen.de/veroeffchronol.html). გავლილი აქვს არაერთი კურსი ,ძირითადად, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის, გარემოსდაცვითი სამართლის, ევროპული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.